ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო განცხადება

,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2622 განკარგულებით შექმნილი სატენდერო კომისია აცხადებს კონსოლიდირებულ ტენდერს (CON-12001) სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2–ში მითითებული ტიპისა და მარკის ნავთობპროდუქციის (საწვავის) (შემდგომში – საწვავი) სახელმწიფო შესყიდვაზე დისქაუნთის მეთოდით.

კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადების თარიღია 2012 წლის 6 იანვარი.

სატენდერო წინადადებების მიღება იწყება კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებისთანავე.

სატენდერო წინადადებების მიღება მთავრდება 2012 წლის 16 იანვარს 19 საათზე.

სატენდერო წინადადებები მიიღება დახურული კონვერტით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს იურიდიულ მისამართზე – ქ. თბილისი, პეკინის ქ. 28. სატენდერო წინადადება შეიძლება ასევე იქნეს წარდგენილი ელექტრონული ფოსტის მისამართზე fuel@procurement.gov.ge. საკონტაქტო ტელეფონი: 214 88 87

კონსოლიდირებულ ტენდერში წარდგენილი სატენდერო წინადადებების განხილვა ხდება არაუგვიანეს 2012 წლის 20 იანვრისა.

კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე მიმწოდებლის/მიმწოდებლების საწვავის მიწოდების ძირითადი პირობების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. გამოქვეყნება მოხდება არაუგვიანეს 2012 წლის 26 იანვრისა.

2012 წლის 20 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სატენდერო კომისიას სატენდერო წინადადებით ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს იმ მიმწოდებელმა, რომელსაც კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობა არ მიუღია. ასეთ შემთხვევაში, სატენდერო წინადადების განხილვა კომისიის მიერ ხდება გონივრულ ვადაში და შედეგები ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge.